

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცაღკე სომეხი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.



გამოდის ყოველ-ღამე ორზაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კაპიკი, პირველზე 16 კაპიკი. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მანათი. სტრიქონზე  
ნებისა ითვლება მხოლოდ დაჭერილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკ-  
ლებს დასაბუთებელ გამოცხადებულ წერილებს. დაუბეჭდავ წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

# „დროების“ ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლოკამდე 4 მანათი. სოფლის მასწავლე- ბელთათვის 3 მანათი.

წარმოდგენა 1. **ქუთაისი** ქართულითაჲტრი  
ზარასკევს 30 მანათობისთვეს  
ქუთაისის დრამატული დასისაგან წარ-  
მოდგენილი იქნება  
პირველად ქუთაისში  
**I**  
დროებითი სიყვარული  
ძომელია ორს მოქმედებათ.  
**II**  
მოკაენება  
მოდველი ერთს მოქმედებათ.  
**III**  
ქ ა მ ლ ე ტ ი  
მრთი სტენა მესამე მოქმედებიდამ.  
ფასი ადგილებისა ჩვეულებრივი.  
გამგებელი გ. მესხი.

**სათეატრო განცხადება.**  
ამ წლის ოქტომბრის 1-დამ 1886  
წლის აღებამდის **ქართული დრამა-  
ტიული დასი** დაიწყებს წარმოდგენე-  
ბის გამართვას.  
ამის გამო დასის გამგეობა მოიწ-  
ვეს, როგორც ძველს ანტისტებს  
აგრეთვე დასში ახლად შემოსელების

მსურველთ წარუდგინონ თავიანთი  
პირობანი დასის საქმეთა გამგეს.  
**სამმეთა გავამ 3. აბაშიძე.**  
(10—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხა-  
დეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის  
მოწერისა  
სურათებან **ვეფხისტყაოსანს**ვე,  
ამისათვის შევამზადებინე კვიტან-  
ციები და მსურველთ შეუძლიანთ ეს-  
ლავე შემოიტანონ ფული ან სრუ-  
ლიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“,  
რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფ-  
ხისტყაოსნისა, იქნება **რვა მანათი-  
დამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალო-  
ბაზე. ხელის-მოწერა ფულის შემო-  
ტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ  
იგი თბილისშია და შემდეგი ფულის  
შემოტანის დროს ან ეს კვიტანცი-  
ა უნდა წარმოადგინოს, ან შეატ-  
ყობინოს მისი სურვილი. თბილისის გა-  
რეშე ხელის მოწერათა ფული უნდა  
გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და  
კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაში-  
ვე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხისტყაოსნის“  
გამომცემელი  
გ. ქართველიშვილი.  
(25—23)

## კინტო

(უძღვნი ა. ც—რულს)  
დღეს ღვინო მსურს—ღვინოში სვედა დაკ-  
ლიათ,  
ვიქვიფათ, სადღევრქელა დაკლიათ,  
ეს სიტყვებს ამ ქვიფით გაკლიათ,  
დაუსვდეთ, სიტყვებს შეკლიათ.  
\*  
თორემოვან, ვარს დაგვირქეს სიკვდილი...  
მან არ იცის შეუბრალება, სიბრძნედი,  
არ ვაანჩქვს ბერა იუოს, თუ ჩვილი,  
გაუშწარებს, ვინც აქვს სიტყვებს ტკბილი.  
\*  
მამ დასანი ისევ ღვინო, მძობილო!  
შეგობარო, ამსინაგად სძობილო!  
\*  
რა შეგვრჩება, წავა ჩვენი დღენია,  
ეს სოფელი, მითხარ, ვის შერჩენია?!  
ის მდიდრებიც, ვისიც დღე ნათელია,  
ისე წავლენ მიწად, როგორც მტკერია.  
დასაძება და სიკვდილი ერთია  
გამჩნეულიც ჩემი იგივე ღმერთია!  
ის რომ მდიდრად დასადა, რა ვუყოთ  
მის ქონება ეშმაგს უნდა გაუყოთ.  
\*

ვაცს არ მისცემს, ვლახავს არ მკიწვალავს,  
ოსრავს, ვენესის, ისე თავსა იწვადვას.  
მე არც რა მქვას, არცა ვსტირი ფულსკედა,  
მისებრ ვაჯარი არ მწკვება გულსკედა.

ჩემი საწმე ეს მარჯვენა მკლავია,  
და სიმდიდრეც ეს საწვავი თავია,  
ამ ვეკლს და პურს, გოსაურით ღვინოსა,  
ამ ჩემ სურფრას, ალალს უსინცხვილას  
ვინც მწკვება, ფანდალად გაუშვდი,  
გულის დარღებს დაუფანტავ, მიაგუშვდი.

მამ დავლიათ ისევ, ჩემო მძობილო,  
ამსინაგო ღვინოშიც, ჭირშიც სძობილო.  
გნ. ნინო ორბელიანისა.  
ავგისტოს 20-ს.  
1885 წელსა.

## სამეგრელოში

ბევრჯელ გამიგონია სამეგრელოს  
ქება, როგორც ადგილის მდებარეო-  
ბით ისე ხალხის სიუხვით და სტუმართ-  
მოყვარეობით, მაგრამ უნდა გამოვ-  
ტყდე, თითქოს არ მჯეროდა, სანამ  
თვითონ არ გაეხდი ბედნიერი და არ

## შინაური ქრონიკა

რაღაცენს დედა ქალაქს თბილისს  
სოფლები ახვევია, როგორც მოგებ-  
სენებად, ყველა იმათი მცხოვრებნი  
პურს ქალაქის წისკვილებში ფქვენ.  
მტკერის მარცხენა ნაპირზედ თითქმის  
ოცდა ხუთამდე წისკვილი იქნება გა-  
კეთებული, მაგრამ ეს რიცხვი ვერ  
აკმაყოფილებს თბილისის ახლო-მან-  
ლო სოფლებს. მიზეზი ამისა ის გან-  
ლათ, რომ მთელი შემოხსენებული  
რიცხვი წისკვილებისა აქეთ აღებული  
იჯარით ესრედ წოდებულს «ფოდრა-  
ჩიკებს» რამდენისამე წლობით, გარდა  
ორი წისკვილისა, რომელიც ეკუთ-  
ვნის მლ. მინაძეს. რასაკვირველია  
ორს წისკვილს ვერ შეუძლიან დააკ-  
მაყოფილოს ყველა თბილისის გარ-  
შემო სოფლები და კაცი უნებურად  
იკითხავს: მაშ როგორ მიღიან იო-  
ლას იმოდენა ხალხით? აი როგორ:  
დღეს რომ მეპური ჩამოვიტანო დასაფ-  
ქვავად—ორით დღეს იქ უნდა ვიყო,  
ვიღრე ჩემი ჯერი მოვა ხშირად ერთ  
კვირასვდეც მეტს უცდის ზოგიერთი  
გლეხი სწორედ მკათათვეში; რადგა-  
ნაც იგი ამდენს ხანს საქონელს ქა-  
ლაქში ვერ შეინახავს, ამიტომ პურს  
ქალაქში გაუშვებს და საქონელს წაას-  
ხამს სოფელში. მერე ვალაზედ ჩამო-  
ვა, დაჰუქვავს, წავა შინ, ჩამორეკს  
საქონელს და ისე წაიღებს შინისაკენ.  
რამდენჯერ მინახავს, რომ ერთი ვირის  
საპალნე ხორბალს გლეხი ორს და სამს

ვინავე ეს მშენიერი კუთხე ჩვენი ქვეყ-  
ნისა.

სალამოს ხუთი საათი იქნებოდა,  
როდესაც მუთაისის მოვზორდი, გან-  
ეთავისუფლდი მისი პაპანაქება სიცხე-  
კორიანტელისაგან და მუდამ დაულა-  
ლავ სტეფენსონის ურმით გაუუდექი  
გზას ჩემთვის უტხო ქვეყანა—სამეგ-  
რელოსაკენ, სადაც გულის ტოკვით  
მივეშურებოდი, არა მარტო მისთვის,  
რომ იქ ველოდებოდი მრავალი ნა-  
ცნობების და ნათესაების ნახვას, არა-  
მედ უფრო სამეგრელოს ბუნების გა-  
ცნობა მახალისებდა

ბამორდებით თუ არა ჩიონის სტან-  
ციას—თვალ-წინ გავეშვებოდა ვეებერ-  
თელა მინდორები, მწვანის მანტიით  
მოსილნი, რომელნიც თვალ-უწვდე-  
ნელ სიმორცხედ გაჭიმულან და იკარ-  
გებინან შორის, ძლიერ შორის ჰორი-  
ზონტის სიერცეში. ამ ბუნების მწვა-  
ნე ნახვედ მიიკლანება შავი ღენ-  
ტივით დაქსოვილი რკინის-გზის ლიან-  
დაგი და მასზედ მიქმინავს გაჯაერე-  
ბული მგზავრებით სავეს ორთქლით  
მატარებელი


დღეს ვერა ჰუქვავს, რის გამოც უე-  
ჭველად შინ ცოლ შევილი რჩება მშვი-  
რი და ქალაქში კიდევ თითონაც და  
ვინი.

აი, ამნაირს ვაკვირებაში არიან  
თბილისის გარშემო მცხოვრებნი და  
კაცი არ არის, რომ ამით ვაკვირება-  
ში დაეხმაროს. მგონი ჩვენი ქალაქის  
მეთაურების საქმეა, რომ თვალ-ყუ-  
რი აღდენონ «ფოდრაჩიკების» საქცი-  
ელს. მართალია, წისკვილი კერძო  
საკუთრებაა და პატრონი იმას მის-  
ცემს იჯარით, ვისგანაც უფრო ბევ-  
რი ხეირი აქვს (რასაკვირველია, რომ  
«ფოდრაჩიკებისაგან» აქეთ ხეირი,  
რადგანაც ისინი მთელი წლობით  
იღებენ წისკვილს და, თუ გინდა რომ  
მოსცდეს კიდევ, პატრონი არასა  
ჰკარგავს) მაგრამ მაინც შეიძლება  
და როგორმე დაეყოლიებიათ წისკვი-  
ლის პატრონები, რომ ზოგჯერ სოფ-  
ლელებს ეხმარათ და ზოგჯერ «ფოდ-  
რაჩიკებს». აი თუნდ ესე: დღისით  
რომ «ფოდრაჩიკებს» ევქვათ, ღამე  
სოფლელებს, ან კიდევ ესე, წისკვილ-  
ში ორი ბორბალი ბრუნავს ერთი  
ბორბალი გლეხებისთვის ყოფილიყო  
მეორე-კი «ფოდრაჩიკებისთვის», თუ  
ვინიცობა თავისუფლად დარჩებოდა  
ის ბორბალიც ამ უკანასკნელებს ეხ-  
მარათ. ასე რომ არც მეწისკვილე  
იქნებოდა ზარალში და არც სოფ-  
ლელებს ექნებოდათ ესეთი ვაკვირება.

ზაქათალის მახრადანთქმული  
ბრინჯის მოსავლით. მთუკაურს მცხოვ-

საათის ათი იქნებოდა, როდესაც  
მატარებელმა რის ხენშითა და ვაი-  
ვაგლახით მოგვიყვანა დ. სენაკში. აქე-  
დგან, მეორე დღეს, გაუუდექით გზა-  
ტკეცილით დ. ძველ-სენაკისაკენ, რო-  
მელიც სულ ხუთი თუ ექვსი ვერ-  
სის მანძილზედ მდებარეობს. ამ გზა-  
ზედ მგზავრის ყურადღებას მარტო  
ერთი ნანგრევი ციხის კედლები იხე-  
რობენ; ეს ვახლავთ «შხენის» ციხე.  
ამ ოდესმე ჩვენი ცხოვრების ძვირთა-  
სი განძისა დღეს მარტო დანგრეული  
კედლები-და დაგვიჩვენია... ძველი  
«შხენი» დინჯად და მოწყვნით ვად-  
მოსცქერის გარშემო გავერანებულ  
ახალს არე-მარეს და თითქოს ვუბნე-  
ბოდეს: მისაც ჩემი სიკმაწვილე არ  
გინახავთ—ღმერთმა ჩემი სიბერე ნუ გა-  
ჩენთო. რამდენ ამბების და შემ-  
თხვევათა მოწამენი არიან ეს ხანის  
შემოსილი კედლები, რამდენს გულ-  
დასათუთქავ რასმე გვიამბობდენ ჩვე-  
ნის წარსულის ცხოვრებიდამ, რომ  
ენა ჰქოლდეთ...

...მაგრამ ჩინთვის და რად მინდა მის მო-  
განებას;  
ნაც რომ ვოთიდა, წარსულს და აღარ  
იქნება,—



რებს არ მოუვიდა, მაშინ მას აკლ-  
დება წლის საზრდო, ამისათვის რომ  
ბრინჯი შეადგენს ნახევარ საზრდოს  
მთელის წლისას. იქაურს გლეხ კაცს  
ყოველს ღამეს ეხმად ფლავი აქვს  
გაკეთებული და იმას პურის მაგიფ-  
რად ხმარობს.

აი, ეს არსებითი საზრდო, რო-  
გორც გვწერენ, წლეულს იმის მე-  
ხუთედს არ მოსულა, რაც ყოველ  
წლიე მოდიოდა. ამისაგამო ბრინჯი  
ეხლავე გაძვირდა. მოუსალობის მი-  
ზეზი იყო გვალვა. ბრინჯისათვის სა-  
ჭიროა წყალი. ის მუდამ, განუწყვეტ-  
ლივ, უნდა მიმდინარეობდეს ჩალთუ-  
ქის კვლებში. მაგრამ გვალვისა გამო  
წყლები დაშრა ხეებში, და წლევე-  
დელი მოსავალი ამ გარემოებამ ინა-  
ცვალა. ბრინჯის მოსავალი არ არის  
ნუხის მაზრაშიაღ. ორივე მაზრის  
მცხოვრებლები არიან შეწყუბულნი  
უბალახობითაც. წარსულ წლების  
მოსავალთან შედარებით პურის მო-  
სავალიც ბევრად ნაკლები მოვიდა  
წლეულს, ასე რომ სამს კოდს პურს  
(თალარას) ექვს მანათად ჰყიდიან გლე-  
ხები.

☞☞☞ შოთილამ გვწერენ: ფოთელებს  
გვაქვს ერთად ერთი ხიდი, რომელ-  
საც თავილამ ბოლომდის სულ ფარ-  
ნები აქვს ორთავე მხარეს წამწკრივე  
ბული, მაგრამ ჯერ-კი არა კაცს არ  
აუნთია და ღამით ყოველთვის გა-  
ჭირვებით გამოდიან ხალხი და ფაე-  
ტონები. შუთი ნაეთი კი დღეს 60 კ-  
ლის და ვერ აგვიხსნია, რას მივა-  
წეროთ ეს უყურადღებობა.

ჩვენი ქალაქის თავი, ბ მახრამოვი  
ამ დროებით წავიდა ქალაქის მიწოდ-  
ბილობით პეტერბურგში. ამან უნდა  
იშუამდგომლოს მმართველობასთან,  
რომ ქალაქს მიეცეს დაპირებული სა-  
ხელმწიფო ხიდი, რომელიც აქამდის  
ბუბტში იყო და ეხლა დაშალეს და  
შაინახეს. ხსენებული ხიდი უნდათ

გაჰყონ ორად და ერთი ნაწილი  
შოთში რიონზედ გამართონ, რო-  
მელმაც უნდა შეაერთოს ბუბტი  
ქალაქთან, მეორე კი ჰსურთ მდინარე  
მათალყვანზედ ააგონ, რომ ბურია და  
შოთი შეუერთონ ერთმანეთს, თო-  
რემ ერთობ დიდს გაჭირვებაში არიან  
გურულები, რომელთაც უნდათ  
შოთთან ჰქონდეთ მიმოსვლა, ვაჭ-  
რობა და უგზობის გამო გერაფერს  
ვერ ახერხებენ.—მხლა გაჰყავთ შარა  
გზა ოზურგეთიდან შოთამდის; ეს  
გზა გაივლის სუფსაზედ და ამ სტან-  
ციიდან მერმე ივლის დილიქანი შოთ  
ში ყოველ-დღე მატარებლის მოსვლის  
დროს.

☞☞ ხევილამ კიდე გვწერენ შემ-  
დგეს ფოსტის გამცარცველ ავაზაკებ-  
ზე: «ის ავაზაკნი, რომელნიც თიანე-  
თის მაზრის უფროსს გადაუჩინენ  
მრწოსს ხეობაში, ხელთ ჩაუვარდენ  
ღუშეთის მაზრის უფროსს (პარკუჩის  
ხეობაში) ბუღამაყრიდამ ხევისკენ  
გადმოსავალ მთაზედ. შოსტის გაცარ-  
ცვის მეორე ღამიღამევე, როგორც  
ყველა მთის საეჭვო ბილიკები ისე  
ბუღამაყრის ხეობაც ყარაულებისგან  
შეკრული იყო, მაგრამ 21 აგვისტომ-  
დის ვერსად ვინ შეხვდა. ამ დღეს-კი  
პარკუჩის მთაში, (მვენა მთა) ბუღა-  
მაყრისკენ გადასავალზედ ჰაზბეგის  
ურიადნიკს ახალ-გაზდა შაქრო ჰაზ-  
ბეგს და ს. პარკუჩის მეცხვარეებს  
დაენახათ ორი კაცი, რომელთაც  
იარაღის დაყრის დაძახებზედ უარი  
არ ეთქვათ და დანებებოდნენ. იმავე  
ღამეს ისინი ღუშეთის მაზრის უფ-  
როსსთან მირეკეს ს. სტეფან წმინდას.  
მეორე დღით 22-ს დაჭერილი ავა-  
ზაკები, მათი დამჭერელნი ურიადნ.  
შაქრო ჰაზბეგი, ივანე და ძორი ჰა-  
მარაულები მაზრის უფროსმა თან  
ერთად წაიყვანა ქალაქში. ავაზაკები  
არიან: ამ ნაირი ქურდობით სახელ-  
განთქმული ს ბევლეთილამ ქისტები;

ბაისოლთი ლახანოვი და მურთუზ ოზი-  
ვეი. იშვიათად მომხდარა, რომ მო-  
ხევებს ამ მხარეზედ ქურდებისთვის  
ნაქურდალი საქონელი გაეტანები-  
ნოსთ; თვით ქურდებიც ხშირად დაუ-  
ჭერიათ... დაჭერილმა ავაზაკებმა უა-  
რი სთქვეს თიანეთში დაჭერილების  
და იქ მოკლულის მათის მეზობლის  
ბოშკი შოთიგოვის ამხანაგობაზედ.

☞☞ მუთაისილამ გვწერენ: «ქუთაი-  
სელები რამდენი ხანია, რაც ზეციურ  
მანანასებ მოველით ერთ ხეირიანს  
ქართულს წარმოდგენას. იმედი გვქონ-  
და, რომ, რაც ჩვენს ქალაქში და-  
ბინავდა პ. მესხი, ერთი ნიჭიერი წარ-  
მომადგენელთაგანი ქართულის სტე-  
ნისა, ქართულს წარმოდგენებს ხში-  
რად ეხილავდით; მაგრამ აქამდის  
ვერას ველირსეთ. მხლა სასიამოვნოდ  
გვიჩვენა პ. მესხის განზრახვა, რომ  
პატარა თეატრალური წრე შეადგი-  
ნოს და დრო გამოშვებით გამართოს  
ქართული წარმოდგენები.

მშობლები ბავშვებით დღე-დღეზე  
გროვდებიან ჩვენს ქალაქში და დღი-  
სით სანთლით ეძებენ ვაკანსიებს სხვა-  
და სხვა სასწავლებლებში.

მალე, იქნება, ქუთაისელებმა ერთი  
საინტერესო პროცესი მოვისმინათ.  
საქმე იმაში გახლავთ, რომ აქ ერთს  
ბრიტურს გახსნილი აქვს «სულნი კა-  
სა». მით პირს დაუგირავებია ამ კა-  
საში ძვირფასი თელიანი-ბეჭედი და  
როცა გამოუსყიდა ძვირფასი თვალის  
მაგიერად უბრალო ქვა უნახავს ბე-  
ჭედში ჩასმული. ამ პირს მაშინვე სა-  
ჩივარი მიუცია და ამ ერთს საჩივარს,  
როგორც ამბობენ, სხვებიც მიაყო-  
ლებენ საჩივრებს ამ კასაზე, რომელ-  
საც ასეთი «ოინები» ხშირად ჩაუდ-  
ნიაო. არ ვიცით—რამდენად მართა-  
ლია ეს ბრალდება კასაზე.

☞☞ ბათუმში მმართველ მადიდებელ  
ეკლესიის ასაშენებლად მუთაისის სამ-  
ხედრო გუბერნატორის სმეკალოვის

რაც იქაქს აწუხებს, გულს აკვსებს და  
სუფას სტანკავს.

\*\*\*

სულ მცირეოდენს გაივლით კიდევე  
და შეხვალთ ძველს-სენაკის დაბაში,  
რომელიც სამეგრელოს თავად-აზნაუ-  
რობას გამოუჩრჩევია თავიანთი შეი-  
ლების აღსაზრდელად და სადაც გად-  
მოუტანია მუთაისის სათავად-აზნაუ-  
რო სკოლის განყოფილება. ნახავ  
ძველ-სენაკსა და მაშინვე იტყვი: სა-  
მეგრელოს თავად-აზნაურობა ძლიერ  
გონიერად მოქცეულა, რომ ეს ადგი-  
ლი აურჩევია სკოლისათვისო. ძველს-  
სენაკს ჰაერით, ადგილის მდებარეო-  
ბით, ციე-ცივი წყაროებით დიდი უპი-  
რატეობა აქვს თუნდა ახალს-სენაკ-  
ზე. აქ მასწავლებელს, რომ კიდევეც  
ეზარებოდეს შრომა, მაინც უნდა  
იშრომოს, რადგან სკოლა ყოველ  
მხრით კარგი მოწყობილია და გასარ-  
თობი ალაგები კი ძლიერ ცოტა. ამ  
დაბაში სკოლნიათ ექვს აგვისტოდამ  
დაწყებული ოცი დღის განმავლობა-  
ში საზოგადო ვაჭრობა—იარაუკობა,  
რომელზედაც მრავალი ხალხი ესწრება

ყოველის კუთხილამ, დაბა-ქალაქებიდ-  
გან. შემტესი ვაჭრობა საქონლისა  
სკოლნიათ, თუმცა სხვა სავაჭრონიც  
უხვად მოიპოვებიან. როგორც ბევრს  
ადგილას ჩვენში, აქაც ებრაე ლები გა-  
ჩენილან. აქაც ამათ ხელშია უმეტესად  
ყოველ გვარი ვაჭრული წარმოება; მა-  
გრამსაკვირველია, რომ აქაურ ებრაელები  
ხასიათი, მოქცევა, მიხერა-მოხერა  
და ენაც კი მეგრელებისა მიუღიათ  
და თუ ძლიერ არ დაუვირდებით ძნე-  
ლად გაარჩევთ აქაურს ურიას მეგრე-  
ლასაგან. როგორც აქ, ისე ყველგან  
მვემო-იმერეთის დაბა ქალაქების იარ-  
მუკობაზე ერთს სასიამოვნო შთაბეჭ-  
დილებას გრძობს გული: ეს ის სა-  
სიამოვნო და სანატრელი მოვლენა  
არის, რომ აქაურ ქალებს კიდევე არ  
დავიწყებიათ უწინდებური ხელ-საქნა-  
რი; როგორც წინედ, ისე ახლაც სია-  
მოვნებით ხედავთ მეგრელ «ცირებს»  
თავ-თავიანთ ხელის ნაწარმოებით ბა-  
ზარში. აბრეშუმის მოყვანა და კეთე-  
ბა აქ ქალების უპირველესი ხელობა  
არის ძლიერ იშვიათად ნახავთ ქალს,  
რომ აბრეშუმის რამე არ ეცვას, ან

არ ეხუროს და თან რამდენიმე ქსანი  
გასაყიდად არ დაჰქონდეს აბრეშუმის  
ძათისა ქალაქში. მეგრელ ქალების ნაქ-  
სოვი დარაიები ყველგან განთქმუ-  
ლია.

\*\*\*

მეგრელები საზოგადოდ ძლიერ ლა-  
რიბად სცხოვრებენ, მაგრამ სიწმინდეს,  
სიფიქსეს და სტუმრის პატივის ცემას  
განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევენ,  
რაც უნდა ღარიბი ოჯახი იყოს.  
ამით მეგრელები ძლიერ მალა სდგა-  
ნან ზემო იმერლებზედ. მაინცდაე—  
გაკიმულია გრძელი მწვანე მოლით  
მოსილი ეზო, გარშემო მალალ «ეთე-  
რი ხეებით» შემორგული... მწვენიერ  
ეზოს ერთ განაპირას წამოყურთულია  
«მეგრული ფაცხა», ყავრის მაგიერ,  
ისლით დახურული, რომლის შეხედ-  
ვაც დაგიკარგავს შიგ შესვლის სურ-  
ვილს, მაგრამ როდესაც შეხვალთ  
ამ «მეგრულ ფაცხაში» უეცრივე გა-  
ვირვება შეგიპყრობთ; თქვენ ხე-  
დავთ წარმოდგენელ სიწმინდეს, სი-  
სუფთავეს და წესიერებას ყველგან და  
ყოველისფერში.

თაოსნობით დღემდის შეგრავილა  
110,973 მან. დაქვეყნებულია

ბიზნისი

☞☞ მასულს პარასკევს ექსარხოსი  
პაველე ჩამობძანდა მარტყოფილამ ქა-  
ლაქს და აქედამ მეორე დღეს, შაბათს  
რკინის გზით გაემგზავრა ბორჯომში,  
საიდანაც ყოველად სამღვდელო წაბრ-  
ძანდება სოხუმს ბიჭვინტის ეკლესიის  
საკურთხებლად ენკენისთვის პ.-ს.

☞☞ ხეალ, ხუთშაბათს ჩვენი ქალა-  
ქელი ბიზოპი—შელდმანი ქართული  
თეატრის (პროფუნისეულ) სტენაზე  
გამართავს მანტუკიჰიმისა და ჰნოტი-  
მის სენსებს. ბ-ნმა შელდმანმა ასე  
მცირე ხანში მართლაც რომ დიდი  
სახელი გაითქვა; იგი შესამჩნევად გა-  
მოიცადა, განსაკუთრებით ჰინოტიჰი-  
ში.—ამ მოკლე ხანებში შელდმანი,  
რალაც კერძო საქმეებისათვის მიემგ-  
ზავრება ძანეთისაკენ და, იქნება, მე-  
ლავსა და სიღნაღში გამართოსო თვი-  
სი სენსები.

☞☞ საკორინთლოდან (ბორის მაზ-  
რა) გვწერენ: «თუმცა წელს ნამუ-  
შევარი რიგიანი მოვიდა, ხეილ ბალ  
ბოსტანსაც საიმედო პირი აქვსთ და  
ღვინის მოსავალსაც გვარიანს მივე-  
ლით, მაგრამ ერთმა მოულოდნელ-  
მა, მუშა ხალხის დამალატაკებელმა  
მოვლენამ, სრულებით ჩაგვიშხა.  
საქმე იმაშია, რომ საკორინთლოს  
ზევით სოფლებში და ხიზან ოსებში  
გაჩნდა საქონლის ქირი და თუ ეს გავრ-  
ცელდა ბევრს მემამულეს და მუშა  
გლეხობას დასავამ თვალცრემლიანს.  
მვემო-ქალას გაჩნდა წითელა და თუ  
იმანაც ისე გამუსრა ბავშვები, რო-  
გორც შარშან ყვავილმა—თქვენი მტე-  
რია ჩვენ დღეში ჩაეცვივდეთ.

მეგრელების სტუმართ მოყვარეობას  
და პატივის ცემას საზღვარი არ აქვს:  
ქალი კაცი—ყველანი თავზე გველე-  
ბიან. მანშობამდის ყველა თავისებუ-  
რად სცდილობს გაგართოს როგორ-  
მე. პურის ჰამაზე—ტუბილი სიმღერა  
ცალკე «ბოშეფისა» და ცალკე «ცი-  
რებისა» გიტკობს ყურთა სმენას.  
ტუბილს სიამოვნებასა ჰგრძობ და ამ  
გრძობით გეპარება ლული თვალე-  
ზე. შეგიძლებიან სუფთა ლოგინით  
მორთულს ოთანში, «ცირები» ფენსა  
გბდიან, შემდეგ სასტუმალს ჩამო-  
გისხდებიან და «ტუბილ-ჩორგურის»  
«სიმთა ქლერით» მიგაძინებენ უცხო  
სტუმარს...

სამეგრელო, მოგესხენებათ, განთქ-  
მული იყო ქურდობით, მაგრამ ამ  
ბოლოს დროს ძლიერ შემცირებუ-  
ლა. შემცირებულა-მეთქი იმიტომ  
ვამბობ, რომ ზოგ-ზოგიერთს სოფ-  
ლებში არც ახლა აკლებენ ხელს,  
რადგან მეგრელი ანდაზას:—«ჩვეულე-  
ბა სჯულს უმტკიცესია»—ბეჯითად  
მისდევს.  
მართლა, რომ ფეცე-გადგმულია ეს



### უცხოეთი

## ტელეგრაფები

„ნდელილოეთის სააგენტოსი“

აგვისტოს 27-ს.

◆◆ ბევრნი მტკიცედ აღგანან იმ აზრს, — სწერს ინგლისური გაზეთი «Daily News»-ს, რომ რუსეთი მანამ გააგრძელებს ზუღოეთკარის გასაღებზე მოლაპარაკებას, სანამ მარჯვე დროს არ იხელთებს ომის გამოსაცხადებლად. ზუღოეთკარის გასაღების საქმე მხოლოდ ამ მიზეზით გაკვირვებულა.

◆◆ ძველის გაზეთს სწერენ ლონდონიდან: რუსეთის უმაღლეს წრეებში მალე მოელოან დღის გათავებას. რუსის მმართველობამ, რაკი შეიძინა ზუღოეთკარის გასაღების ქარტები, გადასწყვიტა ავღანეთ დიუტევის ზუღოეთკარის ეველა გასაღები დასავლეთით და მხოლოდ ერთი პუნქტი დაიჭიროს თვით აღმოსავლეთით. მაგრამ როგორც აქაურს წრეებში ლაპარაკობენ, ინგლისის ძლიერ გაუჭირდება ეს პუნქტი დაუთმოს რუსეთს. ინგლისისათვის უმთავრესი საგანია სახელი და ემირისათვის მიცემული სიტყვის გადათქმას-კი დიდს დანაშაულად არ ჩაითვლის იგი მიანცა-და-მიანც. სალისბურის კაბინეტი კარგად იცის, რომ ხსენებულის პუნქტის დათმობით რუსეთის მხრით არავითარი შიში არ მოელოს არც ინდოეთსა და არც ჰერათს. ამასვე ამბობდნენ რუსებში, როცა ასეთი მტკიცე რამ მოითხოვეს თვის დასაკმაყოფილებლად.

◆◆ ნემეც გაზეთს Berl. Tagebl.-ში დაბეჭდილია მანცპილიდამ გაგზავნილი დეპეშა: «გუშინ, აგვისტოს 16-ს 76 რუსის ქვეშევრდომ პოლმელებმა მიიღეს ბრძანება, რომ ოქტომბრის 1-მდის დასტოვონ პრუსია. ამ განკარგულებამ ერთობ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მცხოვრებლებზე...»

სენი სამეგრელოში და მხოლოდ განათლებას თუ შეუძლია მისი მოსპობა. სოფლებში ძლიერ ხშირია სკოლები, მაგრამ როგორც ეტყობა ძლიერ უიმედო თვალებით უცქერან ამათ, მას შემდეგ რაც მეგრულს სკოლებში ქართული ენა უნდა სრულიად მოისპოს... აი, დღეს აქაურ საერო სკოლებიდან გამოჰყავთ გლეხებს შეილები და სამრევლო სკოლაში აბარებენ, რადგან იქ ყველაფერი თითქმის ქართულს ენაზედ ისწავლება.

\*\*\*

ძველ-სენაკიდან რამდენიმე საათის სავალზე მდებარეობს ნაქალაქევი თვისის მადნის წყლებით. საუცხოო ადგილია ნაქალაქევი. მართის მხრით ფითალო კლდეები აღმართულან და მეორის—გაქიმულან უზარ-მაზარი მთაგორაკები, რომელთა წვერებზე წამოყუნტულან ციხეთა ნანგრევი კედლები; ამათ შუა რბის მდ. ტეხური და რალაც უცნობის ხმით ეღუღუნება გარშემო ძველ ციხეთა ნანგრევი კედლებს. ნაქალაქევის მდებარეობის პირ-

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétérsbourg“— აცხადებს იმედს, რომ ესპანისა და გერმანიის შორის მომხდარი უთანხმოება კაროლინის კუნძულების გამო მშვიდობიანად გათავდება და მადრიდში გერმანიის წინააღმდეგ მომხდარი დემონსტრაციები უეუტად აღებოდ დაიჭრებიან, მხოლოდ მოთავსები კი დაისჯებიან.

მადრიდი. გაზეთები გვანებებენ, რომ ორი კრესიანი გაიგზავნა იანის კუნძულზე და ისპანიის მთავრობისაგან ბრძანება ექვსთ მალათ დაიჭიროს კაროლინის კუნძულები.

ლონდონი. აქაური გაზეთები ურჩევენ, რომ ესპანიისა და გერმანიის შორის მომხდარი უთანხმოება შუაგნების გადაწყვეტილებით გაათავსონ.

პარიზი. აქაური გაზეთები ურჩევენ ესპანიას, რომ შუაგნებს თავი დასწებოს და შინ-და-შინ თვითონ მოურიგდეს გერმანიას.

მადრიდი. დიპლომატიურა განმარტებდამ, რომელიც გერმანიამ გაუგზავნა ესპანიის მთავრობას, სწანს, რომ კუნძულს იანსედ მოქმედებით გერმანიას არც ისა სდამება, რომ მოლაპარაკებაზე გადგენა მოეხდინა და არც ისა, რომ მოლაპარაკების მშვიდობიანად გათავებისათვის დაეშალა; კაროლინის კუნძულების შესახებ უფლება სრულიადაც არ დადგეულებ ამ მოქმედებით; გერმანიას რომ ადრევე სცოდნოდეს ესპანიის განსწავლა, მან-

ველი შეხედვა მოგაგონებთ ჩვენი პოეტის სიტყვებს:

„ბუძეუკას მთანი მღუმარედ ცათამდის აუფებულნი, სსკდან ვით დეენი სპეტაკის ყინულ გვირგვინით შექმულნი, მათ კვდოვან გვირგვინთა შავათა დრუბულნი ზედ დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარვლანთა ემუქრებიან!..“

მადნეულ წყაროების ქვევით არის ერთი დიდი ციხის ნანგრევები და იქვე გვირავი—გადახურული ქვის ტუნელი, საიდანაც ომიანობის დროს სასმელი წყალი ამოჰქონდათ ხოლმე მდ. ტეხურითგან ზევით ციხეში. აქ აგდა ერთი დიდი ქვა, რომელზედაც ერთმა მოხუცებულმა მეგრელმა შემდეგი მიაბო: ამ ქვაში იყო ჩასმული მარმარილოს ქვა და თავზე ოთხი-კუთხით მურმან-ყრუს დაყენებული მცველები ადგნენ თოფ-იარაღებით, რომ არავის გაეგდნა მასზედ დაჯდომა, რადგანაც წესად იყო მიღებული, რომ ვინც გაბედადა და მოასწრებდა ამ ქვაზე დაჯდომას ის უნდა

შინ იგი ღადრ დიჭკრდი კუნძულებს, სინამ თანხმობას არ მიადგება

ბ ი რ ჯ ა

ბეჭედაბურგა აგვისტოს 26

100 მანათის კურსი სამის	თვით ღონდონზე	— 23 <sup>31</sup> / <sub>32</sub> 24 <sup>3</sup> / <sub>32</sub>
100 მანათის კურსი სამის	თვით ჰამბურგზე	— 203 <sup>1</sup> / <sub>2</sub> 204 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
100 მან. კურსი სამის	თვით პარიზე	— 252 <sup>1</sup> / <sub>4</sub> 253 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
პოლიმპერიოლები	— 8 მ. 27 პ. გაუ.	
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 28 პ. გაუ.	
ვენდლის მანათი	— 1 მ. 31 პ. გაუ.	
ბირუსის დისკონტი	— 5 <sup>1</sup> / <sub>4</sub> და 6 <sup>1</sup> / <sub>2</sub> 0	
5% ბილეთები სანემ-წიფო ბანკისა	100 და	
1000 მან. პირველი გამოცემისა	— — 99 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.	
მეორე გამოცემისა	— 98 მ. 62 პ. გაუ.	
მესამე გამოცემისა	— 98 მ. მუ.	
მეოთხე გამოც.	— 98 მ. მუ.	
მეხუთე გამოც.	— 98 მ. 12 პ. მუ.	
5% აღმოს. სესს. 100 და	1000 მ. პირვ. გამოც.	— 97 მ. 12 პ. გაუ.
მეორე გამოც.	— 97 მ. 12 პ. მუ.	
მესამე გამოც.	— 97 მ. 12 პ. მუ.	
5% მომგები ბილეთები	I შინაგანის სესსისა	— 220 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები	II შინაგანის სესსისა	— 212 მ. გაუ.
ოქროს რენტი	— 174 მ. გაუ.	
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ.	ფურცლები	— 43 წ. 88 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. მუ.
ფურცლები	— 27 წ. 89 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გამუ.	
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	— 18 წ. 91 მ. გამუ.	
— 43 წ. 89 მ. გამუ.		

### ცნობანი

საპადადმუოზოს დირექტორი ბ-ნი მერმიშვინი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

მძიმეები: არშთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მეფედ გამხდარიყო. ამ დროს ანდრია მოციქული ქრისტიანობის გავრცელებისათვის დაჭერილი იყო, ხელფეხში სადალიანო ბორკილი ეყარა და ეგდო გვირავის თავში მდ. ტეხურის ნაპირას. საღამოს დროზე ერთი დედა-კაცი ჩასულიყო გვირავში წყლის ამოსატანად, ავესო ჭურჭელი და როდესაც გამობრუნებულყო, გაეგონა გაღმა ნაპირიდან კაცის ხმა: «დედა-კაცო, წადი უთხარ ანდრია მოციქულს, რომ პეტრემ აქ მოდი თქო». ძალი შიშს შეეპყრო, პასუხის მიუცემლად ამოსულიყო გვირავითგან და რა შეეხდნა ამ ოთხ დაიარაღებულ მცველებისათვის უნებლიედ გაეღიმა და შემდეგ რალაც უცნაურად გასცინებოდა. ამ დროს თურმე მეფე და მისი ცოლი ზევითგან უცქეროდნენ ამ ქალს და მაშინვე თავის მოკვეთა ებძანათ; ქალმა სამი სიტყვის თქმის ნება სთხოვა და, როდესაც მიიღო, სთქვა: «პეტრე ეძახის ანდრისო». ამას შემდეგ ყურადღება არ მიჰქცია პეტრეს სიტყვები საცინლად აიგდო და უთხრა ანდრია მოციქულს: «აბა სინჯე და წაბრძანდი შენს პეტრესთან». ანდრია

მელიქ-შარსადამოვი წიგნებისათვის თობით და პარასკევებზედ წიგნებისა გამოიბი: ვილჩაქოვისა, სამშაბათობით. ბაზინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით. სტამბოლისა, ოთხშაბათობით და შაბათობით. ლოქვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

სამპურნალოში, რომელიც თბილისის მოქალაქეთა დაარსეს სასსკვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავადმყოფთა მიიღების დღის 8 საათიდან 12 საათამდის. უკველ დღე მიიღებენ ამ სამეურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანი—8 საათიდან 9 საათამდის საბუიო, საქალეო და საბაჟო ავადმყოფობის; საქალეო და საბენკლესკი—10—11 საათამდე—სახირურგო, სიფილისის ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საქალეოდად; შტემ-ბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრდილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკეიჩი სამშაბათობით და შარსკვეობით 9—10 საათამდე ხირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საქალეოდად; კრასნოგვანდოვი ორშაბათობით და შარსკვეობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლქსონი კბილის ტკივილის საქალეოდად მიიღებს თავის სასწამო ყოველთვის და რბი ავადმყოფებს, რომელთაც სამეურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

მაზანდა ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-

იმ წამსვე ამდგარიყო და რკინები იქვე დასცივიროდნ თავისთავად. მანთავისუფლებული ანდრია მისულა და დამჯდარა ამ ქვაზე, რომელსაც მცველები თავზე ადგენ. მას აქედ არის, რომ ანდრია უფრო-და-უფრო იწყო ქრისტიანობისა და სწავლის გავრცელება სამეგრელოშიო... ამ ციხის ბოლოს, იქ სადაც გზატკეცილი გაივლის, აშენებულია ერთი ქეთიკორის ეკლესია, რომელსაც „ორმოცისას“ ეძახიან. მს სახელი, აი, რისთვის უწოდებიათ. აქ უწინდელს დროში მდ. ტეხურში დაუღრჩვიათ ოც-და-ცხრამეტი კაცი, რომელთაც დამე ნათელი დასდგომიათ; ეს ნათელი უნახავს ერთს მღვთის მოსამსახურე დედა-კაცს, რომელსაც გარდა ერთი შეილისა არ გააჩნდა-რა თურმე. მს ერთი შეილიც გადუფდია წყალში იმ დამღრჩვლებთან და უთქვამს: «ოც-და-ცხრამეტი მანდ იყო—ესეც მეორემოცეო». აუგით ამათ საფლავებზედ ეკლესია და დაურქმევიათ „ორმოცისას“.

თუოფ. სუსკივსკი. აგვისტოს 21-ს.

# კომერციული კურსები

ორივე სქესის ჰირთათვის.

პროცენტული

ბიზნისი

წელადი მეთოდი

კურსებს საგნად აქვთ მისცენ სპეციალური კომერციული განათლება ორივე სქესის შერთ და ასწავლონ პრაქტიკული ანგარიში.

1885—86 წელს ასწავლიან შემდეგს საგნებს: 1) კომერციული ეკონომია, 2) კომერციული არითმეტიკა, 3) ბუხალტერია (ურბალო, ორკვიცი და სხვა-გვ.), 4) არითმეტიკა სასაგარეო სოფლებზე, 5) კომერციული მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამაშო წესდებანი. 7) სუფთად და სასქაროდ წერა, მსურველთათვის ფრანკულური ენა.

სწავლა დაწყება სექტემბრის 15-დამ, ახალი მოწაფენი მიიღებიან აგვისტოს 25-დამ ყოველ-დღე საღამოს 5—8 საათამდის, კურსების სადგურში, რომელიც იმყოფება სოლოლაქზე, ლაბარაბორიის ქუჩაზე. ივანე ყორღანოვის სახლში № 11. პროგრამები და წესდებანი უფასოდ ეძლევათ წიგნიანთა ბანკის კანტორაში, სიონის ქუჩაზე და ტერ-სარქისიანის საკანცელარია ნივთების მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე. ძალაქ გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ მიმართონ წერილით კურსების დამაარსებელს ს. მანუაშვილს.

(8—6)

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება «დროების» რედაქციაში

# ვახუშტი

## საქართველოს ისტორია

მანმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით  
ლიმ. ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქაჭავი ს. ი. წილასისხატის, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისხატის.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი ანუ განხილვა ძველის ქართულის ხროლოგიისა, (ვახუშტისა); მეორე ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტუზე (ბროსისესი); მესამე ანუ ქართველი ისტორიის წყაროები და ქართლის ცხოვრების, ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი: ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე ანუ საქართველოს დახარულიებად სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გარ-ტომზე ის ცნობანი, გარეგანი და შინაგანი (სხვა-და-სხვა ხრობიკებიდამ, გუფრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოველს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქართ ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთა-ხეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნების დახატულებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე, ნაწილი „ვახუშტის ისტორიისა“. „მეორე ნაწილი“ საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; ვახუშტის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატრობა როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამდე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუბუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი ანუ გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოსა ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის აღფაშვებით გამოიცემა 1887 წელს.

(25—4)

ი. ა. ფორაქოვის და დ. ს. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოზი (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სასახლის ქუჩაზე).

ისყიდება

დაწმენილი პური ანუ სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი დაწმენილი სპირტი.

მისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის ადრესით უნდა დაიბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Порякова и Д. Сараджева.

(20—11)

დახელ 16 მარამობისივიდამ 1 ენკნისთემდე 1885 წ.

გამომცემი ზურაბ რუსეთის ფეხილისა — —1 გ. 5 ჰ. აჭაურის ფეხილისა: ჰირ-გელას ხარისხისა — —1 გ. 2 1/2. მეორისა — — —1 გ. 2 ჰ.

იმავე ფეხილისა თორნიეში გამომცემი:

ცხვარი:

ჰირველი ხარისხისა —1 გ. 4 1/2. მეორისა — — —1 გ. 3 ჰ. მესამისა — — —1 გ. 2 1/2.

ჯვარის-მამის ზური:

ჰირველის ხარის. ღვავში 1 გ. 4 1/2. მეორის ხარის. ღვავში 1 გ. 3 1/2. მესამისა — — —1 გ. 3 ჰ.

ძროხის ხორცი:

ჰირველის ხარისხისა —1 გ. 6 ჰ. მეორისა — — —1 გ. 5 ჰ. სუკი — — — —1 გ. 13 ჰ. ცხვრის ხორცი — — —1 გ. 7 ჰ.

ღორის ხორცი:

ჰირველის ხარისხისა —1 გ. მეორისა — — —1 — — გ.

რკინის მზა

ფოსტის მატარებელი მილის თბილისიდან ბათუმიმდე 8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის 10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე 55 წამზე ღამით.


ბაქოდამ თბილისში შემოდის 8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისკენ 3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდან თბილისში შემოდის 8 საათზე 24 წამ. დილით.

## განცხადებანი

ინგლისური რკინის კარბები



ერთის საწოლი 6 მანათიდგან, და ორის საწოლი 10 მანათიდგან; მათი ლეიბები, ზღვის ბაღსით გატენილი 4-დგან 8 მანათიდგან. ვიდრე შემდეგ ნივთები იყიდება 25% -თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე; ბრიტანის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქი, სამჭრე, კოვჩები, შევიდდის დახები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი ჰირის საბანი, სტაქები, სუფოკინი, საწოლი, რიუტები, საქაშური, თეფები, ბლიულები, სასალათები, ტამბაკი, სარკები, სამარლები, გარნიცის სოფები, ჰრობის ამოსალები, ჰრობები, კლიტები, გასალები, კანტები, ადვირები, სლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, ვაჭები, უთოები, წისქვილები, სურები, ქლიბები, ინგლისის თოფები და რეკლავები, პიუბი, ზარბადაბი, კამსოფები, საფანგები, ნიშები, ვატრ-პრეტი, საბნები, ჩულები, წინდები, სუფრები, საღებავები, რგოლები, ეპ-

ლიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტი, ბი, ვიპლები, სოუსები, ზღვის ბაღსით, დამაკიტანები, ზომასი და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში აწარუნისეულს ქარვასდაში № № 95, 94, 9, 3, 91 და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ხაის მადანია თბილისში. (100—21)

გ. რ. რკინის

**ქართული წიგნის მაღაზია**

გადგუდა მუბალავის სახლებში

ლორის-მელიძის ქუჩაზე, სმინარის პირ-და-პირ.

აქვე იმყოფება გ. ჩარკვიანის სტამბა, რომელიც იღებენ ყოველ-გვარ სასტამბო სამუშაო.

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული

**ქრისტოვანთა**

უმცროს კლასებისთვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისხატან.

ფასი თოთხმეტი რუბრი.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგაგები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდან.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ძალაქ გარედამ ვინც ერთს ეკვმვლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი რუბრი უნდა დაუმატოს. მინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ რუბრად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება. (25—12)

**ისყიდება**

ღუმენი და ცარიელი ადგილები

რომელნიც ეკუთვნის

ივანე მინას მე ძირსოვეის

მემკვიდრეთ ქ. თბილისში მიხაილოვის ხილზე და მის ორივე გვერდებზე, ერთად ანუ ნაწილ-ნაწილად და აგრეთვე სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, სადაც არის ეხლა სასტუმრო «ბრანდ-ოტელი».

მსყიდველებს შეუძლიანთ მიიქცენ 1-ს სექტემბრამდის «აქცაზის» სასტუმროში № 37. (5—5)